# გზამკვლევი ჟურნალისტებისათვის

## ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ პასუხისმგებლიანი გაშუქების სტანდარტები

მიიღე სიმართლე ✓

✗ უარყავი დეზინფორმაცია

2024

## შესავალი

დღევანდელ ციფრულ ეპოქაში ჟურნალისტებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ გენდერულ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში. პასუხისმგებლიანმა ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რათა გამოავლინოს ყალბი ინფორმაცია, რომელიც სწრაფად ვრცელდება ინტერნეტში და უზრუნველყოს პიროვნებისა და საკითხების ზუსტი, მიუკერძოებელი გაშუქება.

ის, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ქალებს, დიდწილად მედიაზეა დამოკიდებული, შესაბამისად, მათი როლი გადამწყვეტია სექსისტური მიდგომების და ზიანის მომტანი სტერეოტიპების აღმოფხვრის საქმეში, რათა არ აქციონ ქალები სიძულვილით მოტივირებული თავდასხმების სამიზნედ. მეტიც, პასუხისმგებლიანმა ჟურნალისტმა პროფესიონალური გაშუქებით ხელი უნდა შეუწყოს ქალების გაძლიერებას, მათი როლის და წარმომადგენლობის გაზრდას საჯარო ცხოვრების ყველა სფეროში.

გენდერული დეზინფორმაცია ეს არის ქალებისკენ მიმართული ყალბი და გენდერული სტერეოტიპებით გაჯერებული მავნე ინფორმაცია, რომელიც ძირს უთხრის გენდერულ თანასწორობას და აძლიერებს დისკრიმინაციას. ზუსტი და ეთიკური გაშუქება აუცილებელია, განსაკუთრებით მგრძნობიარე თემების, მათ შორის - ძალადობაგამოვლილი ქალების ცხოვრება და მათ წინაშე არსებული გამოწვევები.

აღნიშნული გზამკვლევი მოიცავს ინფორმაციას ძალადობაგამოვლილი ქალებისა და ქალთა უფლებადამცველთა მიმართ გამოყენებული გენდერული დეზინფორმაციის შესახებ და პრაქტიკულ რჩევებს ჟურნალისტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მგრძნობიარე თემების ეთიკურ და პასუხისმგებლიან გაშუქებას და გენდერული დეზინფორმაციის აღმოფხვრას.

## გენდერული დეზინფორმაციის არსი

გენდერული დეზინფორმაცია გულისხმობს ქალთა მიმართ ცრუ ნარატივებისა და სტერეოტიპების გავრცელებას, რაც ორიენტირებულია მათ დისკრედიტაციაზე, დაშინებაზე, დაკნინებასა და გაჩუმებაზე, საზოგადოებაში მათი როლისა და წვლილის შესასუსტებლად. სოციალურად აქტიურ ქალთა მიმართ გავრცელებული გენდერული დეზინფორმაცია ხშირად წარმოაჩენს ქალებს, როგორც სუსტ, ემოციურ ან ლიდერობისთვის შეუფერებელ პირებად, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალთა მიმართ საზოგადოების აღქმებსა და დამოკიდებულებებზე.

# ძალადობაგამოვლილი ქალებისა და ქალთა უფლებადამცველთა მიმართ გამოყენებული გენდერული დეზინფორმაციის მახასიათებლები

## 1. ძალადობაგამოვლილი ქალის/მსხვერპლის დადანაშაულება

**განმარტება:** ქალის მიმართ ძალადობაზე პასუხისმგებლობის გადატანა მოძალადისგან მსხვერპლზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ძალადობაგამოვლილ ქალებს ძალადობის პროვოცირებაში ადანაშაულებენ.

**მაგალითი:** ყურადღების გამახვილება მსხვერპლის ჩაცმულობაზე, ადგილსამყოფელზე ან მის მოქმედებაზე ძალადობის დროს.

**გავლენა**: აძლიერებს სტიგმას, ახდენს ძალადობაგამოვლილი ქალის ხელახალ ტრავმატიზაციას და ხელს უშლის სხვებს დახმარების ძიებისგან.

## 2. გენდერული სტერეოტიპების გავრცელება

**განმარტება:** ქალების წარმოსახვა რედუქციური ანუ ზედმეტად გამარტივებული გზებით, რაც აძლიერებს ტრადიციულ გენდერულ როლებს, ასახავს მათ, როგორც არსებითად სუსტებს, ემოციურებს ან ლიდერობისთვის უუნაროებს.

**მაგალითი:** მედია გაშუქებისას ყურადღების გამახვილება ქალთა უფლებებზე მომუშავე აქტივისტი ქალების ემოციურ მდგომარეობაზე და არა მათ მიღწევებზე ან სტრატეგიულ ძალისხმევაზე, რაც არყევს მათ მიმართ სანდოობას და ავტორიტეტს. ანალოგიურად, ძალადობაგამოვლილი ქალების „უმწეო მსხვერპლებად“ და არა უსამართლობის წინაღმდეგ მებრძოლ, ძლიერ პიროვნებებად წარმოჩენა,

რამაც შესაძლოა გააძლიეროს მათ მიმართ ნეგატიური სტერეოტიპები.

**გავლენა:** სტერეოტიპები აძლიერებს მავნე სოციალურ ნორმებს და ზღუდავს საზოგადოების მხრიდან ქალთა მრავალფეროვანი გამოცდილებისა და მათ მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეტანილი წვლილის შესახებ აღქმებს, რაც აფერხებს გენდერული თანასწორობისკენ მიმავალ პროგრესს.

### 3. ქალთა მოძრაობის დელეგიტიმიზაცია

**განმარტება:** ქალთა მოძრაობების მიმართ დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი ენის გამოყენება, რაც ძირს უთხრის ქალთა მოძრაობების, ფემინიზმის და გენდერული თანასწორობის მიმართულებით გადადგმულ ნებისმიერ ძალისხმევას და ამცირებს მის ლეგიტიმურობას.

**მაგალითი:** ფემინისტების ან ქალთა უფლებების დამცველების „რადიკალებად“, ან „ოჯახური ღირებულებების მტრებად“ მოხსენიება.

**გავლენა:** ასუსტებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული ინიციატივების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერას და ხელს უწყობს ქალი აქტივისტების მარგინალიზებას.

### 4. ქალის სექსუალიზება

**განმარტება**: სექსუალიზება სექსუალურ ობიექტივაციასთან დაკავშირებული ცნებაა და მისი მნიშვნელობა შეიძლება მოიცავდეს: ქალის მხოლოდ ფიზიკური გარეგნობით შეფასებას და სხვა მახასიათებლების, მათ შორის პროფესიული შესაძლებლობების და პირადი მიღწევების გამორიცხვას.

**მაგალითი:** ქალი აქტივისტების ან უფლებადამცველების ჩაცმულობასა და გარეგნობაზე ფოკუსირება და არა მათ ძალისხმევაზე ქალთა უფლებების დაცვის საქმეში.

**გავლენა:** საჭირბოროტო და აქტუალური საკითხებისგან ყურადღების გადატანა და საზოგადოებრივ აღქმაში ისეთი აზრის და სტერეოტიპების გაძლიერება, რომ თითქოს ქალის ღირებულება, პირველ რიგში, მის გარეგნობასთან არის დაკავშირებული.

## 5. ძალადობის ნორმალიზება

**განმარტება:** გენდერული ძალადობის ნორმალიზება ანუ მისი მავნებლობის უგულებელყოფა და რუტინულ ან უმნიშვნელო მოვლენად წარმოჩენა. ეს ხშირად გამოიხატება იმაში, რომ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა მიიჩნევა ოჯახის პირად საკითხად, რომელიც არ საჭიროებს საჯაროობას ან ჩარევას.

**მაგალითი:** ოჯახში ძალადობის წარმოჩენა, როგორც „მეუღლეებს შორის უთანხმოება," „ოჯახური დავა ან კონფლიქტი" და არა სერიოზული დანაშაული.

**გავლენა:** ძალადობის ნორმალიზება აძლიერებს ქალთა დუმილის ციკლს, ხელს უშლის სამართლიანობის ძიების პროცესში ძალადობაგამოვლილი ქალის ჩართვას და მოძალადეთა პასუხისგებაში მიცემას. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს ძალადობის მიმართ ტოლერანტული კულტურის განმტკიცებას საზოგადოებაში.

## 6. ფემინიზმის არასწორი წარმოჩენა

**განმარტება:** ფემინიზმის წარმოჩენა საფრთხედ ტრადიციული ოჯახური ღირებულებებისთვის ან - რადიკალურ მოძრაობად, მაშინ როცა ფემინიზმი გენდერული თანასწორობისა და ყველა ადამიანის უფლებების დაცვისკენ არის მიმართული და ხელს უწყობს პატივისცემის, თანასწორობის, არადისკრიმინაციული და არაძალადობრივი და ჯანსაღი გარემოს დამკვიდრებას ოჯახებსა და საზოგადოებაში.

**მაგალითი:** ფემინიზმის წარმოჩენა ოჯახების დანგრევისკენ ან მამაკაცებისადმი სიძულვილისკენ მიმართულ მოძრაობად.

**გავლენა:** ფემინიზმის არსის დამახინჯება ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების დამცველების მიმართ მტრული დამოკიდებულების გაძლიერებას, ხელს უშლის სამართლიანი, ინკლუზიური, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას. გარდა ამისა, ფემინიზმის არსისა და იდეის შესახებ ცრუ წარმოდგენების შექმნა ხელს უწყობს ანტაგონიზმს ისეთი ინიციატივების მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს სისტემური უთანასწორობის აღმოფხვრას, ბარიერების დაძლევას მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებისთვის.

## პრაქტიკული რჩევები ჟურნალისტებისთვის

### 1. ძალადობაგამოვლილი ქალების ისტორიების გაშუქება

**!! ერიდეთ ძალადობაგამოვლილი ქალის/მსხვერპლის დადანაშაულებას:** მომხდარი ძალადობის ფაქტზე მსხვერპლის დადანაშაულება და პასუხისმგებლობის გადატანა მოძალადიდან მსხვერპლზე აძლიერებს მავნე სტერეოტიპებს და ხელს უშლის ძალადობაგამოვლილი ქალის მხრიდან დუმილის დარღვევას. ეს არა მხოლოდ აზიანებს თავად დაზარალებულ მსხვერპლს, არამედ ახდენს ძალადობის ნორმალიზებას და ამკვიდრებს დაუსჯელობის კულტურას.

**მოერიდეთ** ისეთ ფრაზებს, როგორებიცაა: „მას თავს დაესხნენ ღამით მარტო სეირნობისას"; „მასზე იძალადეს, როცა ის შუაღამისას ტაქსით გადაადგილდებოდა"; დანაშაულის მიზეზად არ ვასახელებთ „ეჭვიანობის ნიადაგს", მაგალითად, „მეზობლების მტკიცებით, ქალი უცხო მამაკაცთან მიმოწერაში იყო მხილებული". მსგავსი მინიშნება მიუთითებს, რომ ძალადობის მსხვერპლის ქმედება იყო ძალადობის მაპროვოცირებელი, რაც თითქოს მოძალადის ქმედებას ამართლებს.

**სანაცვლოდ გამოიყენეთ:** „მოძალადე მას თავს დაესხა მაშინ, როცა ის სახლში ბრუნდებოდა", ან „მოძალადემ მასზე ტაქსში იძალადა". მოძალადის და არა მსხვერპლის ქმედებებზე ფოკუსირებით, ჟურნალისტებს შეუძლიათ ყურადღების გადატანა მოძალადის პასუხისმგებლობაზე, რაც წაახალისებს ქალებს, მეტი ისაუბრონ განცდილ ძალადობაზე.

**!! პატივი ეცით ძალადობაგამოვლილი ქალის კონფიდენციალურობას და ანონიმურობას:** ძალადობაგამოვლილი ქალების დეტალების გამჟღავნებამ შესაძლოა მათში განმეორებითი რეტრავმატიზაცია გამოიწვიოს. კონფიდენციალურობის დაცვა მიუთითებს, რომ ჟურნალისტი უფრთხილდება ძალადობის მსხვერპლს და მის ისტორიას თანაგრძნობით და სენსიტიურობით მოუთხრობს აუდიტორიას.

**მოერიდეთ** ძალადობის გრაფიკულ აღწერას ან ძალადობაგამოვლილი ქალის ან მისი შვილების სახელების გამოქვეყნებას და ვიზუალიზაციას, ან ისეთი დეტალების გამჟღავნებას თანხმობის გარეშე, რაც იდენტიფიცირების საშუალებას მისცემს აუდიტორიას.

**სანაცვლოდ გამოიყენეთ** ზოგადი ტერმინები ან ფსევდონიმები. ძალადობაგამოვლილი ქალის ანონიმურობა იცავს მას შემდგომი ზიანისგან და პატივს სცემს მის ავტონომიას.

**!! მეტი ყურადღება გაამახვილეთ ძალადობაგამოვლილი ქალის ძლიერებასა და გამბედაობაზე:**

ძალადობაგამოვლილი ქალების გამბედაობაზე ფოკუსირებამ შეიძლება გააძლიეროს ისინი და ასევე გაუჩინოს გადარჩენის იმედი სხვებსაც, რომლებიც მსგავს ძალადობრივ გარემოში იმყოფებიან. აღნიშნულ მიდგომას გადააქვს ფოკუსი „ვიქტიმიზაციის“ ნარატივისგან გაძლიერებაზე.

**მოერიდეთ** ძალადობაგამოვლილი ქალის მხოლოდ მსხვერპლად წარმოჩენას, მისი სიძლიერის და გამბედაობის აღიარების გარეშე, მაგალითად, „სასოწარკვეთილებაში დარჩენილი მსხვერპლი“, „ინციდენტის გამო ის რჩება ტრავმირებული და დაკარგული“.

**სანაცვლოდ გამოიყენეთ:** „ტრავმის მიუხედავად, ის ცდილობს, განაგრძოს დამოუკიდებელი ცხოვრების გზა და მაგალითი აჩვენოს სხვებს, ვისაც ძალადობა განუცდია“. აღნიშნული მიდგომა კარგად წარმოაჩენს არა მარტო ძალადობაგამოვლილი ქალების წინაშე არსებულ მიმდინარე გამოწვევებს, არამედ ასევე აღიარებს და აფასებს მათ ძალისხმევას, უკეთესობისკენ შეცვალონ საკუთარი და მსგავს სიტუაციაში მყოფი სხვა ქალების ცხოვრება.

## !! მგრძნობელობა ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქებისას

მგრძნობელობა ძალადობაგამოვლილი ქალის გამოცდილების აღწერისას გადამწყვეტია მათი ისტორიის სწორად და ეთიკურად გადმოსაცემად და ზიანის შესამცირებლად. ძალადობის მსხვერპლი ქალები ხშირად განიცდიან მძიმე ტრავმას და მათი ისტორიების არასენსიტიურმა გაშუქებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ კეთილდღეობასა და საზოგადოების აღქმებზე.

**მოერიდეთ** სენსაციური ან გრაფიკული ენის გამოყენებას, რომელიც ძალადობის სენსაციურობას ან ტრივიალიზაციას ახდენს. თავი აარიდეთ ისეთ სათაურებს, რომლებიც ძალადობას კონკრეტულ ფაქტს სენსაციისთვის და რეიტინგისთვის იყენებს. მაგალითად, არ გამოიყენოთ სათაური „შოკისმომგვრელი თავდასხმა ქალს ტრავმირებულს ტოვებს“, რაც ქალის ტრავმის ტრივიალიზაციას ახდენს და მისი გამოცდილება უბრალო სანახაობამდე დაჰყავს. ასევე მოერიდეთ ძალადობის აშკარა და გრაფიკული აღწერების გამოყენებას. მაგალითად, ზუსტი დაზიანებების ან ძალადობის კონკრეტული აქტების დეტალურ აღწერას, რაც შე-

საძლოა რეტრავმატული იყოს, როგორც ძალადობაგამოვ-ლილი ქალისთვის, ასევე მკითხველებისთვის.

**სანაცვლოდ გამოიყენეთ:** ენა, რომელიც მეტად არის ფო-კუსირებული ძალადობაგამოვლილი ქალის გაბედულებასა და სიძლიერეზე. მაგალითად: „მიუხედავად იმისა, რომ სე-რიოზული ტრავმა მიიღო, მან საოცარი გამბედაობა გამოი-ჩინა და საკუთარი მაგალითით სხვებს აძლევს ახალი ცხოვ-რების იმედს.“

## !! ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გაზრდის ხელშეწყობა

ქალთა მიმართ ძალადობის პასუხისმგებლიანი გაშუქე-ბა შეიძლება დაეხმაროს საზოგადოების ცნობიერების და ინფორმირებულობის ამაღლებას. მაგალითად, მნიშვნე-ლოვანია, საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბებზე (მოიყვა-ნეთ სტატისტიკა) და ასევე - ქვეყანაში არსებული ინსტი-ტუციური მხარდაჭერის მომსახურებების შესახებ (მაგალი-თად, თავშესაფრების, იურიდიული დახმარების და დაცვის სხვა საშუალებების მისამართები, ტელეფონის ნომრები, ინტერნეტის ბმულები), რაც წაახალისებს ქალების მიერ მხარდაჭერის ძიებას და მიმართვიანობას.

**მოერიდეთ** ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „ქალზე თავ-დასხმამ შოკში ჩააგდო საზოგადოება“. მსგავსმა აღწერამ შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას, თითქოს ძალა-დობა იშვიათი და არაპროგნოზირებადი შემთხვევაა ჩვენს რეალობაში და არა სისტემური და გავრცელებული დანაშა-ული.

**ასევე, მოერიდეთ ფრაზებს:** „ძალადობის შემდგომ უიმედოდ დარჩენილი ქალი“, რამაც შესაძლოა შექმნას მცდარი წარმოდგენა, რომ არ არსებობს მხარდასაჭერი სერვისები ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის.

**სანაცვლოდ გამოიყენეთ:** „ინციდენტი ხაზს უსვამს ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების ფართო მასშტაბებს ჩვენს საზოგადოებაში, რაც მოითხოვს აქტიურ ძალისხმევას მსგავსი დანაშაულების აღმოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად“. ეს მიდგომა მიუთითებს ქალთა მიმართ ძალადობის აქტზე, როგორც სისტემურ პრობლემაზე, რომელიც მოითხოვს კოლექტიურ მოქმედებას და მუდმივ ყურადღებას.

ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გაშუქებისას **ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება** იმ დახმარებისა და მხარდაჭერის სერვისებზე, რომლებიც ხელს უწყობს ქალებს მათ ცხოვრებაში არსებული ტრავმის დაძლევაში. მაგალითად, ისაუბრეთ იმაზე, რომ „ძალადობაგამოვლილი ქალი ამჯერად დახმარებას იღებს ადგილობრივი ორგანიზაციებისგან ან შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებისგან, რომლებიც ეხმარებიან ქალებს ძალადობის შემდეგ თავიანთი ცხოვრების აღდგენაში“. ეს ხაზს უსვამს მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობას და წაახალისებს ძალადობის სხვა მსხვერპლ ქალებს, ეძიონ და მიმართონ შესაბამისი დახმარებისთვის.

## 2. ქალი აქტივისტების და უფლებადამცველების გაშუქება

**!! მოერიდეთ გენდერულ სტერეოტიპებს:** გენდერული სტერეოტიპები არის ზედმეტად გამარტივებული და ხშირად მცდარი შეხედულება ქალების შესახებ, რაც ეფუძნება ფესვგამჯდარ ტრადიციულ სოციალურ როლებსა და მოლოდინებს. ეს სტერეოტიპები შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა გზით.

**მაგალითად**, ლიდერი ქალის აღწერა, როგორც „ქალისთვის უჩვეულოდ მკაცრია/ძლიერია“, გულისხმობს, რომ სიმკაცრე/სიძლიერე ქალებში მოულოდნელი ან უჩვეულოა, რაც ამყარებს სტერეოტიპს, რომ ქალი არსებითად სუსტი ან ნაკლებად გამბედავია.

**ასევე ერთ-ერთი მაგალითია** ქალის წარმატების მიკუთვნება იღბალზე და არა მისი უნარებისა და შრომისმოყვარეობის აღიარება, რაც აკნინებს მის მიღწევებს.

**გარდა ამისა,** ისეთი ტერმინების გამოყენებით, როგორებიცაა „ზედმეტად ამბიციურია“ ან „მბრძანებლობის მოყვარული (“Bossy“), ქალის თავდაჯერებული ქცევის აღსაწერად, ცდილობენ ქალების მიმართ ნეგატიური სტერეოტიპების გაძლიერებას და ქალთა ხელმძღვანელობის ლეგიტიმაციის შესუსტებას. ლიდერობის ამბიცია უარყოფითად მხოლოდ ქალის შემთხვევაში ფასდება: ქალი ისჯება იმისთვის, რის გამოც მამაკაცს ტაშს უკრავენ.

ამ სტერეოტიპების თავიდან ასაცილებლად, ჟურნალისტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ქალი აქტივისტებისა და უფლებადამცველების დამსახურებების, შესაძლებლობებისა და მიღწევების აღწერაზე, ხაზი გაუსვან მათ ლიდერულ თვისებებს და მიზნებისადმი ერთგულებას. ეს მიდგო-

მა ხელს უწყობს საზოგადოებაში ქალების წვლილის უფრო ზუსტ და პატივისცემით წარმოჩენას.

**!! ყურადღება გაამახვილეთ პროფესიული მიღწევებზე და არა პირად ცხოვრებაზე:** ლიდერი ქალების გაშუქებისას, მნიშვნელოვანია მათი პროფესიული მიღწევების ხაზგასმა და არა მათი პირადი ცხოვრების დეტალების ასახვა. ამ მიდგომით ყურადღების ცენტრში ექცევა ქალების მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი.

ჟურნალისტები ხშირად იკვლევენ ცნობილი ლიდერი ქალების ოჯახის დინამიკას, პირად ურთიერთობებს, ოჯახურ სტატუსს, შვილების დეტალებს, მეგობრობას, სოციალურ წრეებს და რომანტიკულ ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების ეს ასპექტები პოტენციურად აინტერესებს საზოგადოებას, მათი გაშუქება უნდა ხდებოდეს სენსიტიურობით და სიუჟეტის კონტექსტთან შესაბამისობაში.

მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებმა ყურადღება მეტად გაამახვილონ ლიდერი ქალების პროფესიულ მიღწევებზე, როგორიცაა მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკური რეფორმები ან მათ მიერ წარმართული გავლენიანი კამპანიები ან მიღებული ჯილდოები.

ეს მიდგომა შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას, მეტად გაიგოს და დააფასოს საზოგადოებაში ლიდერი ქალების შეტანილი წვლილი, პირად ცხოვრებაში ჩაღრმავების გარეშე. ამით ჟურნალისტები არა მხოლოდ იცავენ ეთიკურ სტანდარტებს, არამედ პატივს სცემენ ადამიანის პირად ავტონომიას და ხელს უწყობენ ლიდერი ქალების ძალისხმევას სოციალური ცვლილებებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში.

## სასარგებლო ლიტერატურა:


სახელმძღვანელო მითითებები და თვითრეგულირების სტანდარტები გენდერის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და ლგბტქი საკითხებზე სენსიტიური და ეთიკური გაშუქების შესახებ, UN Women, 2023, ხელმისაწვდომია -https://georgia.un.org/sites/default/files/2023-12/GE-GUIDELINES%20AND%20SELFREGULATORY%20STANDARDS%20ON%20THE%20SENSITIVE%20AND%20ETHICAL%20REPORTING%20OF%20GENDER%20GENDERBASED%20VIOLENCE%20AND%-20LGBTQI%20ISSUES%20GEO.pdf

გენდერული დეზინფორმაცია და გენდერულად მგრძნობიარე გაშუქება, გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2023, ხელმისაწვდომია-https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2023/02/for-guidebook.pdf

გზამკვლევი მომზადდა
**ქალთა ფონდი „სოხუმის“ პროექტის**
**„ნარატივების შეცვლა: გენდერული დეზინფორმაციის**
**წინააღმდეგ ბრძოლა ინფორმირებული,**
**მგრძნობიარე საზოგადოებისა და**
**ეთიკური რეგიონული მედიისთვის“ ფარგლებში**

გზამკვლევის ავტორია
**ეკატერინე გამახარია**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6**
**ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ, საოფისე ფართი #2**
**womansukhumi@gmail.com**
**fundsukhumitbilisi@gmail.com**
**www.fsokhumi.ge**
**www.facebook.com/fsokhumi**
**https://www.facebook.com/WFSTbilisiOfficehttps://**
**sosfsokhumi.ge/**